

„მხოლოდ ფურცელზე დაწერილი უფლება ჩვენ არ გვჭირდება“

ის, წლებია, სხვის უფლებებს იცავს და ამით საზოგადოებაში აქტიური ქალის სახით გვევლინება. მიაჩნია, რომ ძლიერი ხასიათი აქვს, რის გამოც გადამწყვეტ მომენტში უკან არასოდეს დაუხევია. პროფესიით იურისტი მადონა ბასილაძე, ცდილობს, საკუთარი პროფესიის კვალიდაკვალ მუდამ დინამიური იყოს და სიახლეებს არ ჩამორჩეს.

აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში 8 წლის წინ ჩაება. 1999 წლიდან მან „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის ფილიალთან დაიწყო თანამშრომლობა საზოგადოებრივ საწყისებზე. 2000 წლის შემდეგ კონკურსის საფუძველზე ამ ორგანიზაციის კონსულტანტად მიიღეს. 2005 წელს ის „საია“-ს ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარედ აირჩიეს. 2007 წლის ივნისიდან დღემდე კი სახალხო დამცველის აპარატის რწმუნებულია დასავლეთ საქართველოს რეგიონში.

— **თქვენი პროფესია დიდ შრომას და ენერჯიას მოითხოვს, რის გამოც მუდამ აქტიური როლში ხართ. რამდენად რთულია ქალისთვის ეს როლი?**

— ვყოფილიყავი აქტიური, ეს მხოლოდ სურვილი არ ყოფილა. ეს ჩემი ხასიათია. იურისტობა მედიდური პროფესიაა. გარდა ამისა, დინამიურია, მუდამ ვითარდება და აუცილებელია ამის პარალელურად შენც არ მოდუნდე. თავისთავად, ეს პროფესია არის განმსაზღვრელი იმისა, რომ საზოგადოების აქტიური ნაწილი ვახდებ. თუკი ქალი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა, არ ნიშნავს იმას, რომ მარტო ერთი საქმე გააკეთოს. კარგი ქალი ყველაფერს კარგად გაართმევს თავს. ჩემი ახალი სამსახური მეტ დროს, ენერჯიას და აქტიურობას მოითხოვს. ჯერჯერობით, წარმატებულად ვართმევ თავს, რადგან მიმაჩნია, რომ არ არსებობს დაუძლეველი

ლი საქმე, მნიშვნელობა არ აქვს, ამას ქალი აკეთებს თუ კაცი.

— **თუმცა, მანდილოსანი გაცილებით სუსტ სქესად მოიაზრება, ვიდრე მამაკაცი. თქვენ რაში გეხმარებათ თქვენი სქესი და პირიქით, გიშლით ხელს? თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სქესის გამო რაღაც დაბრკოლებები შეგქმნიათ?**

— ხშირად მიგრძენია გაცილებით მოკრძალებული დამოკიდებულება იმის გამო, რომ ქალი ვარ და ეს შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი დადებითი შტრიხია. თუმცა, არის მეორე მომენტი, როდესაც სწორედ სქესის გამო თავის შეკავება გვიწევს. ამ საკითხზე დამაფიქრა ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა. ნოემბრის აქციების დროს ჩვეულებრივ ვასრულებდი სამსახურებრივ მოვალეობას, ვახორციელებდი მონიტორინგს. იმის გამო, რომ ვიყავი ქალი, უკან არ დამიხევია. თუმცა გული დამწყდა იმაზე, რომ პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა უხეში ფორმით მომმართა. არა როგორც სახალხო დამცველის რწმუნებულს, არამედ როგორც ქალს. ანუ, დამოკიდებულება, ბუნებრივია, არის, მაგრამ ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ ვარ პრინციპული და შემტევი, ბევრი ისეთი საქმე გამიკეთებია, რაც მამაკაცმა უნდა გააკეთოს. თუმცა ბევრი საქმის გაკეთებისგან თავი შემიკავებია სწორედ იმიტომ, რომ ქალი ვარ.

— **რამდენად მნიშვნელოვანია ქალის აქტიურობა და რა შედეგები შეიძლება**



მადონა ბასილაძე

მოიტანოს ამა?

— აუცილებელია, დაცული იყოს გენდერული ბალანსი იმიტომ, რომ ნებისმიერი საქმე ქალის და მამაკაცის ძალების პროპორციულობით უფრო შედეგობრივი იქნება. კარგი იქნება, თუ ქალები უფრო გააქტიურდებიან, რადგან მანდილოსნები გაცილებით გონებაგამჭრიახნი ვართ.

— **რამდენად არის დაცული დღეს ქალთა უფლებები საქართველოში?**

— ბევრი საერთაშორისო აქტით აღიარებული უფლებები აისახა ჩვენს კანონმდებლობაში. შესაბამისად, ქალს ბევრი უფლება აქვს, მაგრამ მხოლოდ ფურცელზე დაწერილი უფლება ჩვენ არ გვჭირდება. მთავარია, ამ კანონის მორჩილი ვიყოთ. რაც, სამწუხაროდ, დღესდღეობით არ ხდება, მითუმეტეს ქალის უფლებების მიხედვით.

— **რა არის საჭირო ამისთვის?**

— პირველ რიგში, აუცილებელია ამალდეს იმ ადამიანთა თვითშეგნება, რომლებიც ყველაზე მეტად და ხშირად

გვევლინებიან ქალის უფლებების დამრღვევად და ასევე, სახელმწიფოს მხრიდანაც გარკვეული ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული ამ კუთხით.

სიძნელები ყოველთვის იქნება, მაგრამ შრომის შედეგად ყველაფერი დაიძლევა. მთავარია, მიზანი გქონდეს. ვფიქრობ, აუცილებლად დაფასდება ყველა ადამიანის შრომა, მიუხედავად სქესისა. მთავარია მოინდომო.

— **რა არის თქვენი ყველაზე დიდი სურვილი?**

— ყველაზე დიდი სურვილია საკუთარი ოჯახი, რომელზეც რატომღაც ამ ბოლო დროს დაფიქრდი. ალბათ, მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, უკვე ოჯახი მექნებოდა. ჩემთვის ოჯახი ძვირფასი და მნიშვნელოვანია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ოჯახის შექმნა ჩემს აქტიურობას ხელს არ შეუშლის. რადგან საქმე, რომელსაც ვაკეთებ, ძალიან მიყვარს.

თეა ზიზზიბაძე

გენდერ-ნიუანსები

XXX

უკრაინის ახლადარჩეულ რადაში გენდერული დისბალანსია. 450 ადგილიდან მხოლოდ 34 ეროვნულ ქალებს (წინა მოწვევაში მათ 38 მანდატი ჰქონდათ). სინტერესოა, რომ იულია ტიმოშენკოს ბლოკმა თავისი 156 კაციანი საარჩევნო სიიდან მხოლოდ 12 დაუთმო ქალებს. ყურადსაღებია, რომ თავად იულია ვლადიმერის ასულის შემდეგ ქალი სიაში მხოლოდ 30-ე ნომრად იყო წარმოდგენილი.

XXX

შვედეთის მეცნიერებთა აკადემიამ დაასახელო ნობელის პრემიის 2007 წლის ლაურეატი ნომინაციაში „ლიტერატურა“. პრესტიჟული ჯილდო ეროვნულ ინგლისელ მწერალ ქალს დორის ლესინგს, რომელიც 22 ოქტომბერს თავის 88-ე წლისთავს აღნიშნავს. ფემინისტისათვის პრემიის მინიჭებისას ნობელის კომიტეტმა აღნიშნა, რომ ეს არის პატივისცემის ხარკი „ქალური გამოცდილების იმ გრანდიოზული პოეტისადმი, რომელმაც სკეპტიციზმით, მგზნებარებითა და ფანტასტიკური ძლიერებით დაწვრილებითი კვლევის საგნად აქცია გაყოფილი მსოფლიო“.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ამ პრემიით სულ 3 ქალი დაჯილდოვდა: 2004 წელს - ავსტრიელი ელფრიდა ელინგი, 1996-ში - ვისლავა შიმბორსკაია პოლონეთიდან, 1993-ში - ტონი მორისონი აშშ-დან.

დორის ლესინგს მისმა პირველმა წიგნმა „ბალახი მღერის“ მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი, მის რომანს „ოქროს დღეები“ ფემინისტური ლიტერატურის კლასიკას უწოდებენ. თავად ლესინგმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ფემინიზმი — ეს რომანის ერთი მხარეა, მისი მთავარი თემა — პიროვნების უფლებებია“. „ოქროს დღეების“ მთავარი გმირი ქალის ცნობილი ფრაზაა: „ქალები იმიტომ არიან ასეთი მშობრები, რომ ძალიან დიდხანს იყვნენ ხანგრძლივნი. ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ქალი, რომელიც მზადაა დაიცვას ის, რასაც სინამდვილეში ფიქრობს, გრძობს, იცის — იმ კაცის წინაშე, რომელიც უყვარს“.

XXX

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ქალთა ხვედრითი წილი დამნაშავეთა სამყაროში 12-დან 22%-მდე გაიზარდა. იმატა ძალადობასთან დაკავშირებულმა ქალთა დანაშაულებებმაც. გასულ წელს ყოველი მეათე წინასწარგანზარახული მკვლელობა ქალის მიერა ჩადენილი. იურიდიული წყაროები ადასტურებენ: სულ უფრო მეტია ქალები, რომლებიც კლავენ ხულიგნური შეხედულებების გამო, აქტიურად მონაწილეობენ ბანდიტურ თავდასხმებში, თანაც ზოგი დანაშაული განსაკუთრებული საფრთხით გამოირჩევა, ზოგჯერ სისასტიკითაც. სტატისტიკა აღნიშნავს იმ ქალთა რიცხვის ზრდას, რომლებიც სასჯელის ისეთი „მამაკაცური“ დანაშაულებებისათვის იხდიან, როგორცაა წინასწარგანზარახული მკვლელობა, წინასწარგანზარახვით მიყენებული სხეულის მძიმე დაზიანება და გაუპატიურებაში თანამონაწილეობაც კი. ბრალდებულ ქალთა საშუალო ასაკი მთელ მსოფლიოში 35 წელზე ოდნავ მეტია.

ნიუარების სამყაროში

„ჩემი ცხოვრება ზღვის სიყვარულია, ზღვასთან შეხვედრა შეყვარებულთან შეხვედრის ტოლფასია ყოველთვის,“ — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი მხატვარმა ლალი დათიაშვილმა, რომლის შემოქმედების მთავარი მასალა ზღვის ნიჟარა და ფუნჯია. ნიჟარების სამყაროში ჩაძირულს ფანტაზიის და დახვეული ნიჟარების ერთობლიობით უამრავი სურათი თუ სხვა ნივთი შეუქმნია. ყველაზე მეტად პირველი ნამუშევარი — მონიჟარებული სარკე უყვარს, სარკე, რადგან ქალია...

ნიჟარების სამყაროზე ასე მივიდა: პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კონსტრუქციებს ქმნიდა, ისიც მხოლოდ ზღვისთვის, მერე ხელოვნების ინსტიტუტის ტანსაცმლის მოდელირება და დიზაინერობა გადაწყვიტა. სადიპლომო ნამუშევარი საეკლესიო შესამოსელში დაიცვა, მერე გაჩნდა სურვილი გაცე-

თებინა ტანსაცმლის კოლექცია, რომელსაც ერთიანად მორთავდა ნიჟარებით. „მაგრამ იმდენად საინტერესოა ნიჟარის ფორმები, რომ გადავწყვიტე უფრო მეტად ორიგინალურზე მემუშავა და შექმენა ის, რაც სხვას აქამდე არ გაუკეთებია. დავიწყე ნიჟარების ინტენსიურად შეგროვება და შექმნა იმის, რასაც

აქამდე მიგაღწიე“ — ამბობს ლალი დათიაშვილი. ქალი, რომლის ცხოვრების დღეებშია „ყველაფერი ახალი და ორიგინალური“.

ლალი დათიაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა, სადაც ნიჟარის „ტილოებთან“ ერთად ფერწერაც წარმოდგინა, 2002 წელს მოეწყო ჯერ ქუთაისში, — „ვარაში“, მერე თბილისის მხატვართა კავშირში. გამოფენა იყო ბათუმშიც, თბილისის „ბარი-სახლის“ გალერეაში. ყველაზე დიდი წარმატება 2006 წელს „რუსთავი 2“-ის პროექტმა — „იდეა, ფული და ერთი შანსი“, მოუტანა. მაშინ ის გამოფენის მოწყობას საზღვარგარეთ ითხოვდა. ეს სურვილი დღესაც შეუსრულებელი დარჩა, სამაგიეროდ „თი-ბი-სი ბანკმა“ მისი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება ითავა და დიდი აღიარებაც აქედან დაიწყო.

შემოქმედებით წვას დიდი ხნის ფიქრი არ სჭირდება, როგორც თავად ამბობს, „თავში უცებ მოდის“, თუმცა, მუშაობის ხანგრძლივობა მინიმუმ 2-3 კვირაა. „ერთი უცნაური სენი მჭირს, დასაწყისში ყველა ჩემი ნიჟარის „ტილო“ მომწონს, მაგრამ როცა დავამთავრებ, მერე ვფიქრობ, რომ უფრო მეტს ვაკეთებაც შემეძლო“ — ამბობს ლალი დათიაშვილი. მისი ნიჟარები მორთოს სახლის ინტერიერი და ექსტერიერიც. „შეიძლება უკვე



ლალი დათიაშვილი საკუთარ ნამუშევრებთან

სოფიკო ყანჩაველი